ლიმონი

№4, 2017

ზოია ვაშაკიძე

ვიზრდები და ვძლიერობ

ბაბუს ფესვის ყლორტი ვარ,
ძლიერი ვარ... მოვდივარ...
დღეო, ახალთახალო,
უნდა მზარდო, მახარო...
მე კი ჩემს გულს გაჩუქებ,
სულს მზედ გამოვაშუქებ...
ვივლი ცისკენ უფლის გზით,
ჩემი ჯვარით, ურბნისით,
ვარ მდიდარი, ამაყი
ამ მთითა და ამ ბაღით.
უძველესით, განთქმულით –
ჩემი ენით, ქართულით;
ამ ლურჯი ცით, საოცრით,
ჩემი „ვეფხისტყაოსნით“ –
ვიზრდები და ვძლიერობ
ქვეყნის საბედნიეროდ.

ქეთი კვიტატიანი

პეპელა

პეპლის ფრთაზე ეს რა ბრწყინავს?
რა და, წვიმის ნამი.
პეპლის ფრთაზე ეს ვის სძინავს?
– ობობაა ღამის.
ჭრელაჭრელა ფრთებზე სხედან
ბუზი, ხოჭო, ჭია...
ისე მოსწონთ მორბის ყველა
ციყვი თუ ბაჭია.

ერთ დღეს ცოცხლობ,
ცოდო ხარო, –
არც კი კრთება ძახილზე.
სულ სიკეთე აკეთა
იმ ერთი დღის მანძილზე.

პეპლები ყველაზე ლამაზი, ჭრელი მწერებია. მათი უმრავლესობა მართლაც სულ რამდენიმე – და ზოჯერ ერთ დღეს – ცოცხლობს.

უპასუხეთ კითხვებს და ერთად გავარკვიოთ რა ვიცით პეპლების შესახებ:

1. რითი შეიძლება პეპლის დაჭერა ისე, რომ ფრთები არ დაუზიანდეს?
ა. საპნის ბუშტებით;
ბ.პეპლის საჭერი ბადით;
გ. ბუზის საკლავით.

2. რითი იკვებებიან პეპლები?
ა. ქუჩის მტვრით;
ბ. ბალახით;
გ. ყვავილის ნექტარით.

მანანა ქურდაძე

იავნანა

ტკბილად დაგინანავებ,
გეტყვი იავნანასა...
დაფარფატებს პეპელა,
ქარი უშლის ფრიალსა.
აკვნის თავზე ჩამოჯდა,
დღეს გისურვებს მზიანსა.
ტკბილად დაგინანავებ,
გეტყვი იავნანასა...
თმახუჭუჭა ბეკეკო
როგორ ლაღად კიკინებს,
სულ მალე გათენდება
და მამალი იყივლებს.
ტკბილად დაგინანავებ,
გეტყვი იავნანასა...
რას უღიმი პატარავ,
ნეტავ, ხედავ რასაო,
ანგელოზი მოფრინდა?
არ მოგაკლებს მადლსაო.
ტკბილად დაგინანავებ,
გეტყვი იავნანასა...
დაგნამვია ტუჩი რძით,
არ გიგრძნია შიმშილი,
ღვთისმშობელო დედაო,
უპატრონე, იშვილე.
ტკბილად დაგინანავებ,
გეტყვი იავნანასა...

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

რ ი ნ ა



3. ვინ არის პეპელა მანამდე, ვიდრე პარკს გაიკეთებს და იქიდან ხელახლა დაიბადება?
ა. ჩიტი;
ბ. მუხლუხო;
გ. ჭიამაია.

4. რა ჰქვია ღამის პატარა პეპელას, რომელიც სინათლეს ეტანება და სულ მის გარშემო დაფარფატებს?
ა. ფარვანა;
ბ. ფრთებფარფატა;
გ. ფოფოდია.

5. რა ჰქვია პეპელას, რომელიც მის ირგვლივ ძალიან ძვირფას აბრეშუმის ძაფს ქსოვს?
ა. ოქროს პეპელა;
ბ. აბრეშუმის პეპელა;
გ. ხელმარჯვე პეპელა.

6. სად შეიძლება ნახოთ ყველაზე მეტი და ლამაზი პეპელა?
ა.უდაბნოში;
ბ. ყვავილებიან მდელოზე;
გ. სახლის სახურავზე.



თეთრი აპრილის დღე

თინა ჭეჭია

აპრილის ალუბლის თეთრი ყვავილებით მორთული დღეა. უკვე პირველი საათიც შესრულდა. სკოლიდან უმცროსკლასელები გამოფერადდნენ. ისეთი ჟღურტულა და სუფთა ხმებია, თითქოს აქვე, ნაძვებზე ბუდის მაშენებელ ჩიტებს ეჯიბრებიანო. ჩიტები კი, მოგეხსენებათ, ამ დროს როგორ შეუჩერებლად ჟივჟივებენ. ჰოდა, ხმაურობენ პატარა, ცქვიტი გოგო-ბიჭები, ხოლო ბელურები, ჩიტბატონები და ვარდისფერკუდიანი თოხიტარა ჩიტები კი თითქოს ბანს აძლევენ...

აი, ელენე და მარიამი კი რატომღაც ჩუმად გამოვიდნენ სკოლის ეზოდან, ასევე ხმის ამოუღებლად ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელი და თავიანთი ქუჩისკენ გაუხვიეს. რა უნდა მომხდარიყო?

– ელ, – ეუბნება მარი, – არა უშავს, არ დაგიჯერა და სხვა დროს ხომ თვითონაც ნახავს ნიკო ბაბუას? ლიზი მასწავლებელი სულ ჩვენი ქუჩით არ დადის!? ნახავს და მიხვდება.

– ჩემ წინ მიდიოდა, მარ, მასწავლებელი, მაგრამ ათი წუთი აკლდა ცხრას. სკოლა კი აქვეა, მაგრამ ისინი ხომ ჩვენზე ადრე უნდა გამოცხადდნენ. ისე ეჩქარებოდა, ვერ შეამჩნევდა, – ჩუმად ლაპარაკობდა ელენე.

– მოიცა, ელ, შენ როგორღა შეამჩნიე, ცუდად რომ იყო ნიკო ბაბუა?

– როგორ? გეტყვი. ხომ ზის ხოლმე დილაობით თავისი ჭიშკრის წინ, მობილური გვერდით უდევს და ზარს ელოდება. ჰოდა,

მათემატიკური თავსატეხი



ამოხსენი თავსატეხი, თუკი იცი, რომ თითოეული ფიგურა შეესაბამება რომელიღაც ერთ ციფრს, ე. ი. ერთნაირი ფიგურები მსგავსი ციფრების შესაბამისია.

მოვდივარ, შემოვუხვიე, ნიკო ბაბუა კი სკამზე იჯდა უკვე. მივუახლოვდი, უნდა მივსალმებოდი და უცებ ჯოხი გაუვარდა ხელიდან. დავიხარე, უნდა მიმეწოდებინა, მან კი ძლივს ჩაიჩურჩულა: ელენე, გენაცვალე, ცუდად ვარ და ნინო ბებიას შესძახეო. მე ჩანთა იქვე დავდე და დასაძახებლად შევირბინე. ამასობაში დრო გავიდა და დამიგვიანდა. შენ რას იზამდი, მარ, შენც ხომ ასე მოიქცეოდი?

– რა თქმა უნდა, აბა, ნიკო ბაბუას ხომ არ მივატოვებდი! მით უმეტეს, რომ ახლომახლო არავინ ყოფილა.

– არა, მარ, არავინ იყო, თან ხელები უკანკალებდა და ძალიან შემეცოდა. ერთ თვეზე მეტია, შვილს არ დაურეკავს ამერიკიდან და იმის ზარს ელოდება. იმ დღეს გაზეთებზე გავეგზავნე. რომ მივუტანე, თავისი ეზოს ყვითელი ტიტები დაეკრიფა და მაჩუქა, ჩვენ ხომ სულ წითლები გვაქვს. მითხრა, შემოდგომაზე ბოლქვებს ამოვიღებ, წაიღე, დარგე და ყვითლებიც გექნებაო.

– ჰო, ძალიან კეთილია. შარშან ჩემს ძმას, სანდროს, ველოსიპედი დაემტვრა. ნიკო ბაბუამ კი თავისი სარდაფიდან თითქმის უხმარი ველოსიპედი ამოუტანა და აჩუქა... უჰ, დაურეკოს იმ თავისმა შვილმა, რა იქნება! ასე აღარ იდარდებდა.

– ნეტა, როგორ არის, მარ, ხომ არ შეგვეხედა?

– აი, მოვედით კიდეც. ესეც ნიკო ბაბუას მწვანე ჭიშკარი.

...და გოგონებმა ეზოს კარები ოდნავ შეაღეს. ნიკო ბაბუა ხის გრძელ სკამზე იჯდა, გვერდზე მობილური ედო, ხელში გაზეთი ეჭირა და კითხულობდა. გოგონებმა ერთმანეთს შეხედეს, მერე ელენემ საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიდო, ჭიშკარი ფრთხილად გამოიხურეს და ღიმილით განაგრძეს გზა. პირველი მარიამის სახლი გამოჩნდა.

– კარგად, ელ, არ იდარდო! – ხელი დაუქნია მარიამმა.

– ხვალამდე, მარ, უკვე აღარ ვდარდობ, – ჩანთა შეისწორა მხრებზე ელენემ.

უცებ ნიავმა დაუქროლა და ალუბლის თეთრი ყვავილები გულუხვად მიაყარა გოგონებს. ამ დროს მარის უკვე თავისი კარის სახელურზე ეკიდა ხელი, ხოლო ელენე მარჯვენა ქუსლით დატრიალდა, ისევ შემობრუნდა, უნდოდა ყვავილები დაეჭირა, მაგრამ ნიავმა როგორც მოაფრიალა, ისევ ისე გააქროლა ყველა ყვავილი. აკისკისებულებმა კიდევ ერთხელ დაუქნიეს ერთმანეთს ხელი. ნიავი კი უკვე ქუჩის ბოლოს დაცერცეტობდა და ფანტავდა და ფანტავდა ალუბლის ყვავილებს. აპრილის დღე იდგა.

მხატვარი
თამთა მამუკელაშვილი

ნინო ქოქოსაძე

ამოტუუეგა

ნაადრევად გამოვიდა დარი,
ჩვენს ეზოში მზის სხივები დახვავდა.
ბებო ამბობს: გასულელდა ატამი,
მოატყუა ამინდმა და აყვავდა!

ტყუილის თქმა ცუდიაო, ვიცით,
მაგრამ, მზეო – ჩვენი ხათრით – ატმის ხე,
რა იქნება, მოატყუო ისე,
რომ პირდაპირ დამწიფდეს.



მიხეილ ხარიტონაშვილი

სიმღერა გაზაფხულის ეზეზე

მზეო, მზეო, სიცოცხლის
მზე-მშობელი გქვიანო,
ამო, ამოალმასდი,
აღარ დაიგვიანო!

ბუჩქთან გელის სიცივით
მობუზული იაო,
ალუბალსაც კვირტები
ვეღარ გაუშლიაო;

ზვარში ვაზი მოგელის,
ველზე – ყანის შრიალი.
საქართველოს გვირგვინო,
ამო, ამობრიალდი!

მზია ჩხეტიანი

ქრისტე აღსდგა

აჭიკჭიკდა, ფრთა გაშალა,
იფრთხიალა ჭრელმა ჩიტმა,
მზემ ნათელი გადმოღვარა,
– ქრისტე აღსდგა!
– ჭეშმარიტად!
– ჭეშმარიტად! – გახსნა ბაგე,
შემოგვღიმა ვარდის კვირტმა:
– ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
– ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!
განათდა და გაჩახჩახდა
გზებიც, დაბლობ-მაღლობიცა,
ჩვენც მივყვებით ხალხის ტალღას
ლოცვითა და გალობითა.
წინ მიგვიძღვის უფლის ნება,
მისი წმინდა საღვთო სიტყვა...
– ქრისტე აღსდგა! – ისმის ყველგან...
– ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!
გაგვინათოს მისმა მადლმა
გზა ყოველი, ყველა მხრიდან...
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად!



ნუნუ ძამუკაშვილი

ეზე, წვიმა და უაუაჩო

ამისთანა წვიმა მხოლოდ
გაზაფხულზე იცის,
ჯერ წკაპ-წკუპო, მაგრამ ბოლოს
მთლად გაწუწა ციყვი.
ყაყაჩო კი ნაღვლიანობს –
ტყის ნაპირას მყოფი –
რა ვქნა, უნდა ვაღიარო,
სულ პატარა მყოფნის...
უკვე მიჭირს ფეხზე დგომა,
ცრემლიც მიტომ მცვივა,
მეშინია, ვაითუ, ხალი
წამიშალოს წვიმამ.
მზე ღრუბლიდან აყრის სიცილს:
– ძლიერ მიკვირს შენი,
განა წვიმამ კი არ იცის,
ხალები რომ გშვენის?

მხატვარი
იულია ნიკოგოსოვა



მზია მექერიშვილი

დღეს პირველი აპრილია

მელაკუდა მიიმღერის:
– დღეს პირველი აპრილია,
ტყის ამბები მოვიგონე,
დაჯერება ადვილია:

პაწაწინა ჩიტმა სკვინჩამ
კუდი კურდღელს გაუცვალა;
ნასესხები თხილი ციყვმა
თაგვს უკლებლივ ჩაუთვალა;

აიშენა ქარმა სახლი,
აისრულა საწადელი;
ბუზმა დათვებს შეუჭამა
ვეებერთელა თაფლაკვერი;

ტკბილად გალობს ყვანჩალია,
ბულბულები გადარია;
ბიძაჩემის ქვევრის ღვინოს
წვეთი წყალი არ ასხია.

ჰა-ჰა-ჰა-ჰა, დელი-დელი,
დაგაჯერეთ ყველაფერი?

დღეს პირველი აპრილია,
მოტყუება ადვილია!

თამარ ჩაჩიბაია

გულია შუშის ბაყაყი დიანე და ნემსიყლაპია დრაკონი

ოკეანეში მიკარგულ ერთ შორეულ კუნძულზე ყველასგან გამორჩეული და განსაკუთრებული გულია შუშის ბაყაყი დიანე ცხოვრობდა. ასე იმიტომ ერქვა, რომ ნახევრად გამჭვირვალე იყო და მისი გულის ფეთქვას ყველა ნათლად დაინახავდა, თუკი ოდესმე მიაგნებდა. დიანეს პოვნა კი იოლი სულაც არ იყო, ოსტატურად ინიღბებოდა და ამიტომ, ჯერ არავის ენახა – ის ხის ტოტებს აფარებდა თავს და მწვანე ფოთლებში იმალებოდა; იმის მაგივრად, რომ ჭაობში ეცხოვრა და ეყიყინა, სრულიად განსხვავებულ ხმას გამოსცემდა, რომელიც ჭრიჭინობელას ჭრიჭინს უფრო ჰგავდა. ერთადერთი, ვისთანაც დიანეს გულითადი მეგობრობა აკავშირებდა, ალისფერი ნემსიყლაპია, მეტსახელად დრაკონი იყო.

დრაკონს და დიანეს ისიც აერთიანებდათ, რომ დრაკონის გამჭვირვალე ფრთას გულის ფორმის გამოსახულება ამშვენებდა.

შეეძლოთ, ერთმანეთისთვის გაეგოთ, ვინაიდან მწერების ენაზე ლაპარაკობდნენ. ერთხელ დრაკონმა დიანეს სასიხარულო ამბავი ახარა: მალე შენი დეიდაშვილები გაჩნდებიან და მათ მოსანახულებლად ოჯახურ შეკრებაზე უნდა წავიდეთო. ტყის განაპირას, ხის ფუღუროში, წვიმის წყალი გუბდებოდა და, როგორც ყოველთვის, სწორედ იქ იჩეკე-

ბოდნენ შუშის ბაყაყის ლიფსიტები.

– დიანე, როდის წავიდეთ, დღისით თუ ღამით? – ჰკითხა დრაკონმა.

– დღისით რომ წავიდეთ, მეშინია, რომელიმე ფრინველმა არ დაგიჭიროს, ამიტომ ღამით წავიდეთ, – შესთავაზა დიანემ და დრაკონიც დასთანხმდა.

ღამით, როცა სავსე მთვარემ არემარე გაანათა, მეგობრები გზას გაუდგნენ. დიანე ფოთლიდან ფოთოლზე ხტებოდა, დრაკონი კი წინ მიფრინავდა, დაწინაურებული რომელიმე ტოტზე ჩამოსკუპდებოდა და უცდიდა, დიანე ხტუნვა-ხტუნვით როდის დაეწეოდა.

სანამ მთვარე ღრუბლებს მიეფარებოდა, დანიშნულების ადგილს მიაღწიეს. გარშემო შუშის ბაყაყების მთელი სანათესაო შეკრებილიყო და ლიფსიტების გამოჩეკას მოუთმენლად ელოდა.

იქაურობას ციცინათელები დასტრიალებდნენ და არემარეს ანათებდნენ მკრთალად მოკიაფე შუქით, თუმცა ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ დაენახათ ის საოცარი სანახაობა, რასაც ყველა ასე უცდიდა. კარგა ხნის მოლოდინის შემდეგ ფუღუროში ჩაგუბებული წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფოთოლი უცბად ამოყირავდა და წყალში გადაეშვა გულის ფორმის ასობით პაწაწინა წითელი არსება. ესენი იყვნენ შუშის ბაყაყის ახლად გამოჩეკილი ლიფსიტები – თითოეული მათგანი წყლის წვეთს ჰგავდა და სრულიად გამჭვირვალე იყო, მხოლოდ წითელი მფეთქავი გული უჩანდათ.

გაივლიდა სულ ცოტა ხანი და წითელი ლიფსიტები გაიზრდებოდნენ, ცურვის მაგივრად თათებზე ხტუნვას შეძლებდნენ და სწორედ მაშინ მიაკითხავდა ყველას თავისი მეწყვილე ცეცხლოვანი ნემსიყლაპია დრაკონი, რომელიც ტყის სიღრმეში გაუძღვებოდა და იქ დამალავდა, ასწავლიდა მწერების ენას ყიყინის მაგივრად და მარადიულ მეგობრობას და ერთგულებას შეჰფიცებდნენ ერთმანეთს. ამის ნიშნად, ალისფერი ნემსიყლაპია ფრთებზე წითელ გულს გამოისახავდა, ზუსტად ისეთს, როგორიც გულღია შუშის ბაყაყს უცემდა მკერდში.

მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი

შუშის ბაყაყის ახალი სახეობა

კოსტა რიკას ტროპიკულ ტყეში 2015 წელს ამფიბიების შემსწავლელი ცენტრის მკვლევარმა ბრაიან კუბიკიმ აღმოაჩინა შუშის ბაყაყის ახალი სახეობა, რომელსაც თავისი დედის პატივსაცემად „დიანეს გულღია შუშის ბაყაყი“ უწოდა.

ახალაღმოჩენილ ამფიბიას მაშინვე უპოვეს ორეული, პოპულარული მაპეტ-შოუს ცნობილი პერსონაჟი ბაყაყი კერმიტი. ორივეს ერთმანეთის მსგავსი შავგუგიანი თეთრი ფერის თვალები აქვს.

დიანეს გულღია შუშის ბაყაყი გამოირჩევა ზურგზე ხასხასა მწვანე შეფერილობით, მაგრამ სხეულის შიდა ზედაპირზე კანი გამჭვირვალე აქვს, რაც საშუალებას იძლევა,წ გავარჩიოთ მისი მფეთქავი წითელი გული. ასევე, გამოსცემს დამახასიათებელ ბგერებს, რომელიც მწერის ხმას უფრო ჰგავს, ვიდრე ბაყაყის ყიყინს.

ბაყაყი ძალიან პატარაა, სიგრძით მხოლოდ 2,5 სმ-ია, რის გამოც მისი პოვნა იოლი არ არის.

ამჟამად მსოფლიოში შუშის ბაყაყის უკვე 149 სახეობაა ცნობილი და აქედან 14 – კოსტა რიკაზე.

კოსტა რიკას ნისლიანი ტყეების ბინადარი ალისფერლაქებიანი ნემსიყლაპია

კოსტა რიკას ნისლიან ტროპიკულ ტყეებში ნემსიყლაპიების (ინგლისურად Dragonfly) განსაკუთრებული ჯიში ბინადრობს, რომელსაც მეცნიერებმა დაარქვეს ჰეტერინა, რაც პატარა თანამგზავრს ნიშნავს (ინგლისურად მას Hetaerina ჰქვია, თუმცა ეს სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა (ἑταίρα).

ნემსიყლაპიების ამ გვარის სხვადასხვა წარმომადგენელს ხშირად უწოდებენ სამხრეთამერიკულ ალისფერლაქებიანს, ხანაც სისხლისფერს – ფრთების წითელი შეფერილობის გამო. ზოგი მათგანი გადაშენების საფრთხის წინაშეა და წითელ წიგნშია შეტანილი. ამ საშიშროებას ადამიანის მიერ მათი ბუნებრივი საარსებო გარემოს განადგურება ქმნის.

ბონდო მაცაბერიძე

საქათმეებზე გასაკრავი ღეჭსი

არ იფიქროთ, რომ მელიებს
მოატყუოთ რამე.
რამსიგრძე კუდს დღე უყურებთ,
სამი იმდენი აქვთ ღამე!
– არა გჯერათ?
– კი ბატონო, თუ არ გჯერათ,
მოდით მაშინ ხვალ დილით და...
ერთმანეთი თვალეთ!

სიზმარი

წუხელ ძილში მესტუმრნენ
ზოოპარკიდან სტუმრები,
ბუქნაკოჭა გამართეს –
ვერ ვძღებოდი ყურებით.

ყირას იდგა მელია,
ხუნტრუცობდნენ ტურები,
ვიხალისეთ დილამდე – ოჰ, ჰო, ჰო, ჰოო,
გავიხარეთ გულები!

ვისურვე, რომ დილითაც
კვლავ მწვეოდნენ სტუმრები.
გავახილე თვალი და
ბალიშიდან მიმზერდნენ...
ჩამოყრილი ყურები.

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე



კესო ფრანგიშვილი, 12 წლის

ბავშვთა შემოქმედება



თათია ოგბაიძე, 11 წლის
თიანეთის რ-ნი, სოფელ
სიმონიანთხევის საჯარო
სკოლის მოსწავლე

ანანო ერიაშვილი, 8 წლის
თბილისის 126-ე
საჯარო სკოლის მოსწავლე

ადამიანი და ფერები

არც ერთი ადამიანი ერთმანეთს არ ჰგავს, ყველა განსხვავებულია. მაგალითად, დამისვით კითხვა, რატომ არის საჭირო ადამიანის გაჩენისთვის ორი ადამიანი? ახლავე გიპასუხებთ: ჩვენ, ადამიანები, ფერებს ვგავართ. ყვითელი და ლურჯი რომ შევურიოთ, მივიღებთ მწვანეს, თეთრის და წითლის არევით ვარდისფერს მივიღებთ, ვარდისფერისა და ლურჯის არევით - იისფერს, ლურჯისა და მწვანის არევით კი - ყავისფერს.

მე, თავიდან ბოლომდე, არც დედას ვგავარ და არც მამას. მე ახალი ადამიანი ვარ!

ვიციროების ოჯახი

მოამზადა
ნინო ორველმა

ეს ვიციროების ოჯახია. არსად არ ისმის ისე ხშირად „მე რას მეკითხები, ვიცი რო?!“ - როგორც ამ ოჯახში. იქნებ დაეხმაროთ დავალებების შესრულებაში, თორემ ამ პასუხის იქით ველარ მიდიან და ყველაფერში ხელი ეშლებათ.



ყურადღებით წაიკითხე დავალებები და გაიგებ, ვინ ცხოვრობს ვიციროების ფერმაში

1. ის, ვინც სტაფილოს მადიანად ახრაშუნებს, თან გრძელი ყურები აქვს;
2. ის, ვისაც პატარაობისას ზაქს ეძახდნენ, გაიზარდა და . . . . . ჰქვია;
3. ის, ვინც გათენებას ყივილით გვამცნობს;
4. ის, ვინც გასაგრილებლად ლაფში კოტრიალობს.

იპოვე 8 ცხოველი ნახატზე

მოდი, ვითანამშრომლოთ!

ამ, ნომრიდან ჟურნალი შემოგთავაზებთ თითო მოთხრობას და ნახატს. ბავშვებო, გვინდა, მოთხრობა თქვენ თვითონ გააფორმოთ სათანადო ნახატებით, ხოლო ნახატი კი გააფერადეთ და შემდეგ იმის მიხედვით პატარა ამბავი დაწერეთ.

საუკეთესო ნამუშევრები დაიბეჭდება ჟურნალის საიუბილეო მე-11 ნომერში.

შემოქმედებით წარმატებებს გისურვებ, ჩვენო პატარა მკითხველებო.

ანნა ქართველი
ანასტასია ქართველი

ზღაპარი ჭიანჭველაზე

ტყეში, ხის ქვეშ, ერთი ჭიანჭველა ცხოვრობდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ თავის მეგობრებს წაეჩხუბა და ნაწყენმა გადაწყვიტა:

„წავალ, მარტო ვიცხოვრებ. არავისთან არაფრის გაყოფა არ მომიწევს – რასაც ვიპოვი, ყველაფერი ჩემი იქნება!“.

ერთ დილას ჭიანჭველა წყაროზე წყლის მოსატანად წავიდა და ხედავს – გზაზე დაბრაწულგვერდებიანი ღვეზელი დავარდნია ვიღაცას. ჭიანჭველამ გადაწყვიტა, წავიღებ ჩემს სახლში და დავმალავო. ხან ერთ გვერდზე დაექაჩა, ხან მეორეზე, ძვრა ვერ უყო, ამხელა ტვირთს ვერაფრით მოერია.

აი, ხედავს ჭიანჭველა, რომ წვიმასაც აპირებს, შავი ღრუბლები მოქუჩებულან, ელავს და ჭექა-ქუხილის ხმაც ისმის.

ღელავს ჭიანჭველა: „ვაი, ვაი, ჩემს ღვეზელს წვიმა დაასველებს და დაალბობს. უგემურ, ჭუჭყიან ფაფად გადააქცევს.“

ენანება ჭიანჭველას გემრიელი ღვეზელი გასაფუჭებლად, ჩამოჯდა ქვაზე და ატირდა. მერე კი გადაწყვიტა:

„მოდი, ჩემს მეგობრებთან გავიქცევი და დახმარებას ვთხოვ!“

მიირბინა ჭიანჭველების ბუდესთან და შესძახა: „ეჰეჰეი, მეგობრებო, ჩქარა, ჩქარა! წვიმას იწყებს, მე კი წყაროსთან, ბილიკზე ღვეზელი ვიპოვე. ღვეზელი დიდია, ყველას გვეყოფა!“

გაიქცნენ ჭიანჭველები წყაროსაკენ. დაინახეს გვერდებდაბრაწული, მადის აღმძვრელი ღვეზელი. დაესივნენ ყველანი, ერთად ასწიეს და გააქანეს ბუდისაკენ.

წვიმა რომ დაიწყო, მეგობრები უკვე ბუდეში იყვნენ, უგემრიელეს ღვეზელს შეექცეოდნენ და ტკბილ მაყვლის წვენს აყოლებდნენ.

ყველა ბედნიერი და გახარებული იყო, განსაკუთრებით კი ჩვენი ჭიანჭველა, რადგან თავისი საყვარელი მეგობრების ფასი გაიგო და შეურიგდა!

შექმენი ამ მოთხრობისთვის ილუსტრაცია და გამოგვიგზავნე ელექტრონულ ფოსტაზე: dila1904@yahoo.com

ამ ნახატის მიხედვით შეადგინე მოთხრობა



მხატვარი ანდრო კანდელაკი


ძროხა


კატა


ღორი

თხა


ძაღლი

ქათამი

ლეკვი


თიკანი

წიწილა


ხბო


გოჭი

კნუტი

ვიციროების პატარა ბიჭს დიდი გასაჭირი აქვს: საშინაო დავალებას წერს და ვერაფრით იხსენებს, რა ჰქვია ძროხის შვილს. სახლში ყველა ერთი და იმავე პასუხით იშორებს: „მე რას მეკითხები, ვიცი რო?!“

დაეხმარე და ყველა ცხოველი ხაზებით დაუკავშირე თავის შვილს.

ვიციროებს ბაღი აქვთ. გაინტერესებთ, რა მოჰყავთ?

1. ამ ხილის ერთ-ერთი ჯიშია თურაშაული;
2. ადამიანზე იტყვიან, ამ კენკრასავით თვალები აქვსო;
3. ვიციროების გოგო კუნწულებს ყურზე იკიდებს და ამ ხილის ერთ-ერთ სახეობას გოგრას ეძახიან.

გააფერადე ნახატი და იპოვე 8 სახის ბოსტნეული, რომლებიც ვიციროებს მოჰყავთ თავიანთ ბოსტანში.

ნახატი ავტორისა

ეკატერინე ქარჩავა

ლოლუჯ

ფუნჯს ავიღებ და დავხატავ
საოცნებო ზღაპარს:
თეთრ თოლიებს და მის ირგვლივ
მონატრებულ ქალაქს.

მაგნოლიებს, მოლივლივე
ზღვის წკრიალა ნაპირს,
თეთრ იალქნებს, აფრებიანს,
სუნი დასდევს ნატვრის.

იქ ჩვენ გვიხმობს შორის შორით
ზღვა და ბილიკები,
დიდი მწვანე პალმები და
მზე, ცეცხლივით მწველი.

ოჰ, სოხუმო, გვენატრები,
ეს ნატვრაა წმინდა,
აგვიხდინე, ღმერთო, მალე –
ჩვენ იქ ჩასვლა გვინდა.

სიტყვების ხეოლანში

მოამზადა
ნინო ორველმა



ამოხსენი კროსვორდი და ისრით მინიშნებულ მწკრივში ამოიკითხე ალუჩის ძველი ქართული სახელწოდება.

1. მტაცებლის დიდი კბილი;
2. ბიჭუნა, რომელსაც ბალუ და ბაგირა
   ემსახურებოდნენ;
3. საწვავად დაპობილი ხე;
4. მწვანე ბოსტნეული;
5. ყიყინა ამფიბია;
6. ზოლებიანი მტაცებელი ცხოველი;
7. გაზრდილი ზაქი;
8. ყვავის ბარტყი;
9. კურკოვანი ხილი;
10. ნაგებობა მიზანში სროლისათვის.

თინიკო გოგიჩაშვილი

ტკბილი სიტყვა

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უცნაური ქვეყანა. ამ ქვეყანაში აკრძალული იყო ტკბილი სიტყვა. სამეფოს ხელმწიფეც უცნაური ჰყავდა – ერთი უჟმური და უსახური ვინმე იყო. ქალაქის მოედანზე შეჯიბრებებსაც კი მართავდა ავყიაობაში. ჯილდოს მას აძლევდა, ვინც უფრო მწარეს და გულისმოსაკლავს ეტყოდა მოწინააღმდეგეს.

მეფეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. რა თქმა უნდა, ისიც უხასიათო და უცხვირპირო. გაღიმებულსა და თბილად მოლაპარაკეს ვერ ნახავდით. დადიოდა და მწარე-მწარეებს ისროდა აქეთ-იქით. გოგონას უმშვენიერესი ბაღი ჰქონდა – იშვიათი და ულამაზესი ყვავილებით. მეფის ასული ყოველ დილით სეირნობდა სასახლის ბაღში და თავისი წალკოტით ტკბებოდა.

ერთ დღესაც ხელმწიფის ქალი გამობრძანდა ბაღში და რას ხედავს?! ყველა ყვავილი დამჭკნარ-დახრუკულიყო. ატყდა ერთი ვაი-ვიში. მბრძანებელმა ექიმები და მებაღეები მთელი ქვეყნიდან მოიხმო, მაგრამ რა... როგორც მოდიოდნენ, ისე მიდიოდნენ – ვერავინ უშველა საცოდავ ყვავილებს. მეფის ასული უარესად ჩამოზეთილი სახით გაკაპასებული შველას ითხოვდა. ხელმწიფემ და ნაზირ-ვეზირებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

ბოლოს ერთმა ხნიერმა და გამოცდილმა ექიმმა მოინახულა ბაღი და მეფეს უთხრა: – მე ვიცი წამალი! ყვავილებს დაავადებისაგან მხოლოდ ტკბილი სიტყვა განკურნავსო.

ირგვლივ ყველამ გაკვირვებით მიმოიხედა და მხრები აიჩეჩა. აღმოჩნდა, რომ სასახლეში ტკბილი სიტყვა აღარავის ახსოვდა. მაშინ მბრძანებელმა ყველა კუთხით აფრინა შეგირდები, რომლებსაც ტკბილი სიტყვის მცოდნე კაცის მოყვანა დაავალა და თან დიდი ჯილდოც დააწესა.

ხელმოცარული შიკრიკები მალევე დაბრუნდნენ და ხელმწიფეს შიშით მოახსენეს: – დიდო მეფეო, სამეფოში ადგილი არ დაგვიტოვებია უნახავი, მაგრამ ასეთი სიტყვის მცოდნე ვერავინ ვნახეთო. ყველა სასოწარკვეთას მიეცა. აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ბოლოს ერთმა მსახურმა მეფეს შეჰკადრა: – თუ არ დამსჯით, გაგიბედავთ და გეტყვით, ქალაქის ბოლოს რომ ერთი დედაბერი ცხოვრობს, იმის ვაჟი ამას წინათ რაღაც უცნაურ სიტყვებს ამბობდა და ღიღინებდა, მგონი ის უნდა იყოს ტკბილი სიტყვაო!

ხელმწიფემ სასწრაფოდ გაგზავნა ცხენოსნები ბიჭის მოსაძებნად. ის მალევე მოიყვანეს და სასახლის ბაღში შეუშვეს. ყმაწვილი გაღიმებული სახით თითოეულ ყვავილთან

მიდიოდა, ეფერებოდა და თბილ, გულის გასახარელ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. მოხდა საოცრება – ყვავილები ერთიმეორის მიყოლებით იშლებოდა და ირგვლივ საოცარ სურნელს აფრქვევდა.

ბაღიდან გამოსვლისას ვაჟმა მეფის ასულს გვერდით ჩაუარა და სააშიკო, სასიამოვნო სიტყვა ჩასჩურჩულა ყურში. ქალიშვილი მოულოდნელობისაგან შეიშმუშნა და... ჰოი, საოცრებავ, – გაეღიმა კიდეც. ერთს მეორე მოჰყვა, ბოლოს კი გულიანად გაეცინა და გადაიკისკისა. მის შემხედვარე ხელმწიფესაც ჯერ ულვაშებში ჩაეღიმა, მერე კი ნაზირ-ვეზირებთან ერთად გულიანად ახარხარდა.

ხალისი და სიცილი მთელ სამეფოს მოედო. ხალხმა შვებით ამოისუნთქა. მეფემ ბრძანება გასცა: – ამიერიდან ვინც მწარე და გულსაკლავ სიტყვას იტყვის, სასტიკად დაისჯებაო. ხალხი ერთმანეთს ღიმილით ესალმებოდა, თბილი სიტყვები საუბრისას თავისთავად მოდიოდა. შედეგად ქვეყანაში საქმე უფრო წინ წავიდა. სამეფოც უფრო გაძლიერდა და გალამაზდა.

ხელმწიფის ასული იმ ყმაწვილზე დაქორწინდა, რომელმაც ქვეყანა ავსიტყვიანობისაგან გადაარჩინა და გაამშვენიერა. მათი ქორწინება მთელმა სამეფომ ზარ-ზეიმით აღნიშნა. ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ და სიბრძნითა და ხალისით მართავდნენ ქვეყანას.

მხატვარი
ნათია არსენიშვილი

ალეკო გაბელაია

პატარა საბას დიდი სიზმარი

პატარა საბამ სიზმარი ნახა,
სიზმარი ნახა დიდი –
გადარკალული ცის კამარაზე
თაღი – შვიდფერი ხიდი,
ცა – განთიადით მიმოქანდული
და ჯადოსნური ხიბლის.

გასაოცარი იყო სივრცე და
გასაოგნები ხედი –
მტრედისფერ ცაზე იალქანივით
ფრთამოლივლივე მტრედი,
შვიდფერ ღიმილში აბრწყინებული
ღიმი უმანკო დედის.

ღიმი – ნაზი და თეთრი შროშანი,
გედის უბიწო ღიმი
და განთიადის უბე-საკინძეს,
ვით აწყვეტილი ღილი,
მარჯნის ბაგეზე გადარბენილი
ღიმი – ღიმილის ღიმი...

და ედგა ნათლის ღვთიური სვეტი
მთას –ელეონს და თაბორს,
შვიდი ფერია ცად მიჰყვებოდა
ანგელოზების თაბორს
და იხსენებდა მხოლოდ გოლგოთა
ერთ არსაცნაურ ამბორს...

გაღვიძებულმა დილით საბუნამ
უხმო მოგვსა და მისანს,
უთხრა: –
ბრძენკაცო, თუ განმიჩხიბავ
ამ სიზმრის არსს და მიზანს,
მაშინ მე ვიცი, რასაც გიბოძებ,
მე ვიცი, რასაც ვიზამ...

აქ უთხრა რაბამ:
– ძვირფასო, საბა,
კარგად დაფიქრდი, აბა;
სიზმარი შენი ნიშნავს ზეციურ,
ფრიად იდუმალ ამბავს,
განგებისაგან მირონცხებულს და
აიაზმაში ნაბანს...

ვიდრე სიზმართა წიგნს გადავშლიდეთ,
დათმენა გმართებს დიდი;
უპირველესად, უნდა დამშვიდდე,
იყო წყნარი და მშვიდი,
უნდა წარმოსთქვა ლოცვა
შვიდგზისი,
ცა გაიარო შვიდი.

დიდ გზაზე უფლის სიბრძნე და ცოდნა
იქნება შენი გიდი,
რომ წარმატებით გადაიარო
შვიდჯერ შვიდფერი ხიდი;
ეს გზა ის გზაა, რომლითაც მხოლოდ
უფლის რჩეული მიდის...

ვინღა გახილა ასე პაწიას
სიზმარი ესე დიდი?
გადარკალული ცის კამარაზე
თაღი – შვიდფერი ხიდი?
გასაოცები და იდუმალი
თვალთაწამღები ხიბლის?

ქვეყნიერებას ვინ გაუზომა
სიგანე ანდა სიგრძე?
ვინ ეზიარა იმ დასაბამითს
უფლის ცოდნას და სიბრძნეს?
ვინ განალაგა საგნები სივრცედ
ან მოვლენები რიგზე?

ჩემო პატარავ, შენი სიზმარიც
სხვა სიღრმეებზე სიბრძნობს,
გაიზრდები და ყოველ დაფარულს
ეზიარები, ვინძლო,
მაშინ სამყაროს შენი გონით და
მთელი სხეულით იგრძნობ...

მაშინ სამყაროც შეგითვისებს და
თავად სამყაროც გიცნობს...

ჯემალ ნოზაძე

ვაჟკაცი

დამთავრდა სამუშაო დღე მშენებლობაზე. დარაჯმა ალაყაფის კარი ხრიგინით დახურა და შვილიშვილთან ერთად საყარაულო ოთახისკენ წავიდა. ახლად გალესილ კედელს რომ ჩაუარეს, პატარა ბიჭი შედგა და გაკვირვებულმა მიმართა პაპას:

– პაპი! ზევით, კედლის ბოლოში ჩიტებს ბუდე ჰქონდათ მოწყობილი. ის კედელი დღეს რომ გალესეს, რა მოუვიდოდათ იმათ ბარტყებს? ვაითუ, შიგნით მოყვნენ. ის ორი ჩიტი ნამდვილად მშობლები არიან, ბარტყები კი არ ჩანან.

ვიდრე პაპა რამეს ეტყოდა, პატარა ხარაჩოზე შეხტა და ზევით დაიწყო ასვლა. იმ ადგილს, სადაც ბუდე ეგულებოდა, მალე მიაღწია. იქვე, ფიცრიდან ამოშვერილი ლურსმანი ამოაძრო და საქმეს შეუდგა: ახლად ნალესში ლურსმნით ვიწრო ხვრელის გაჭრა არ გასჭირვებია და... სულ მალე გახარებული ჩიტების ჟღურტული მოაცილებდა პატარას ქვევით ჩამოსვლისას.

პაპამ შვილიშვილს თავზე ხელი გადაუსვა და სიყვარულით ჩაიკრა გულში.

მხატვარი
ანნა კანდელაკი

მოკლე მცნებები მშობლებისათვის

მარია მონტესორი, (1870-1952) იტალიელი ჰუმანისტი, პედაგოგი, პირველი ექიმი ქალი XIX საუკუნის იტალიაში ცნობილია, როგორც ახალი პედაგოგიური მეთოდიკის ავტორი. 1898 წლიდან მონტესორი გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების სკოლის დირექტორი იყო. ამ პერიოდში დაიწყო მან თავისი თეორიის პრაქტიკაში დანერგვა და სწავლების მეთოდების შემუშავება, რაც დღეს მონტესორის თეორიის სახელით არის ცნობილი. მონტესორის სამჯერ მიანიჭეს ნობელის პრემია პედაგოგიკაში განსაკუთრებული წვლილისა და მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვისათვის. დღეისათვის მონტესორის სკოლა და მისი მეთოდი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.

მარია მონტესორიმ ჩამოაყალიბა მოკლე მცნებები მშობლებისთვის, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება ყველა მშობლისთვის:

1. ბავშვები სწავლობენ იმას, რასაც ირგვლივ ხედავენ;
2. თუ ბავშვს ხშირად აკრიტიკებენ, ის სხვის გაკიცხვას სწავლობს;
3. თუ ბავშვს ხშირად აქებენ, ის შეფასებას სწავლობს;
4. თუ ბავშვს მტრობას უჩვენებენ, ის ჩხუბს სწავლობს;
5. თუ ბავშვთან გულწრფელები არიან, ის სამართლიანობას ეჩვევა;
6. თუ ბავშვს ხშირად დასცინიან, ის მორცხვი და გაუბედავი ხდება;
7. თუ ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, საკუთარი თავის რწმენას იძენს;
8. თუ ბავშვს ხშირად არცხვენენ, ის მუდმივად დამნაშავედ გრძნობს თავს;
9. თუ ბავშვს ხშირად უწონებენ საქციელს, ის საკუთარი თავის პატივისცემას სწავლობს;
10. თუ ბავშვის მიმართ ხშირად იჩენენ მიმტევებლობას, ის მოთმინებას სწავლობს;
11. თუ ბავშვს ხშირად ამხნევებენ, ის თავდაჯერებული ხდება;
12. თუ ბავშვი მეგობრულ გარემოში იზრდება და თავს საჭიროდ მიიჩნევს, ის სიყვარულს პოულობს;
13. არასდროს თქვათ ბავშვზე ცუდი – არც მისი თანდასწრებით და არც მის გარეშე;
14. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვში კარგი თვისებების განვითარებაზე და ცუდისთვის ადგილი აღარ დარჩება;
15. ყოველთვის მოუსმინეთ და უპასუხეთ ბავშვს, როდესაც მოგმართავთ;
16. პატივი ეცით ბავშვს, რომელმაც შეცდომა დაუშვა და ცდილობს მის გამოსწორებას მაშინვე ან ცოტა მოგვიანებით;
17. ყოველთვის დაეხმარეთ ბავშვს, რომელიც ძიების პროცესშია და შეეცადეთ, შეუმჩნეველი იყოთ იმ ბავშვისთვის, რომელმაც ეს პროცესი უკვე გაიარა;
18. დაეხმარეთ ბავშვს, აითვისოს ის, რაც აქამდე არ აუთვისებია. გააკეთეთ ეს მზრუნველობით, მოთმინებით, შეუმჩნევლად და სიყვარულით;
19. ბავშვთან ურთიერთობისას კარგი მანერებით იმოქმედეთ, დაანახვეთ მას ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენშია.





მხატვარი
თეა მიქაია

ბელა გველესიანი

გაბრიელი

გათენაძე გაბრიელი
სამი წლისა გახდა უკვე,
დილით ადრე დგება ხოლმე
და მთელ ეზოს შემოურბენს.

წინ მიგორავს მისი ბურთი,
უკან მისდევს თვითონ მარდად,
დარტყმა! არის! – მისი ბურთი
მეზობელთან გადავარდა.

უკან დასდევს ყეფით მარლი:
– ჰამ, ჰამ! მეც მომეცი პასი!
გაბრიელს კი სად სცალია:
ინიესტაა, ხან კი მესი.

არ ბეზრდება მას მთელი დღე
ბურთის დევნა და თამაში,
თან თამაშობს, თან კი, იცით,
ვერვინ ჯობნის მას ჭამაში.

განა მარტო სირბილს არის
აყოლილი ჩვენი ბიჭი –
აქვს სიმღერის, ცეკვისა და
დოლზე დაკვრის დიიდი ნიჭი!

ბებოსთანაც მეგობრობს,
ყველა სიტყვას უჯერებს –
კარგად თუ არ მოიქცევა,
ვერ მიიღებს ჩურჩხელებს.

...და გათენდა ახალი დღე,
დილა არის მზიანი,
მორბის ბურთით გაბრიელი
პირმზეღიმილიანი...

ლელა ცუცქირიძე

ბაჭია

– გამარჯობა, ბაჭია,
კარგი კაბა გაცვია.
– ლამაზია? ხომ მოგწონს?
– დიახ, დიახ, ძალიან!
სად იყიდე? მეც მინდა,
იქნებ, მითხრა, კეთილო.
– არსად, კომბოსტოსაგან
შემიკერა დედიკომ.

ზღარბი

– გამარჯობა, ზღარბუნა,
ზურგჩანთაში რა გიდევს?
– სოკო, ჩემო ბატონო,
ნაწვიმარზე დავკრიფე.

ნინო მზესელი

ფერია დილანა და ეეგოზრეები

(გაგრძელება. დასაწყისი „დილა“ №1, №2, №3)

– ამ ღამით ჩვენი ცის სტუმარი ისე ჩამრგვალდა, ეს ჩვენი ბადრი მოპარული თაფლით ლოყებგაბერილ ბურდღუნა დათვს დაემსგავსა, – ყურები მკვირცხლად აცქვიტა და თათის ცერი ცისკენ გაიშვირა ბაჭიამ.

– ეეე... ვინაა ეგ ბადრი? აბა, გაბედოს და თაფლს მიეკაროს, ვაი, მისი ბრალი! – წარბები კუშტად შეჭმუხნა, ტორები კიდევ მაგრად მომუშტა დათვმა.

– დაშოშმინდი, შე მართლა ბურდღუნავ, ბადრი მთვარეა-მეთქი, მთვარეეე! – ნაცარამ თათი ჩაიქნია და კოცონს ერთი მომცრო ფიჩხი შეუკეთა.

– ოო, რახან მთვარეა, იყოს ლოყებსავსე... ამბობენ, ფულს თუ დაანახვებ, აბევრებსო და... თაფლიან ქოთანს გააბევრებს? – დათვს გუნება უცებვე გამოუკეთდა.

– მაინც რამდენი ქოთანი გინდა გქონდეს? ეგება ჯობდეს, ფერია დილანას სთხოვო. ხომ იცი, დახმარებას არ დაგზარდება.

– ეგ კი ვიცი, ციყვო, მაგრამ... ისიც ვიცი, რომ დილანა ხარბებს არ წყალობს, უუუამრავი და უუუთვალავი ქოთანი რომ ვთხოვო, ვაი და, გავაბრაზო?!

– დათვი მართალია! გაბრაზებული დილანა ზღაპრებს აღარ მოგვიყვება და, აბა, ზღაპრის გარეშე ბარტყები როგორ დავაძინო?! – ჩხიკვი შეფრთხიალდა და ბარტყები ფრთებქვეშ მოიქცია.

ამასობაში ვერცხლისფერი ღრუბელიც გამოჩნდა და აი, სულ მალე ფერია დილანა კოცონთან ჩამოფარფატდა.

– დღეს ჩვენი ფერია ისეთი ლამაზია, როგორც არასდროს!

– გრძელი კაბა როგორ უხდებაააა...

– კარგი, კარგი... შეპირებულ ზღაპარს ისედაც მოგიყვებით, ამდენს ნუ მაქებთ, – დილანამ ღიმილით გადახედა აჩოჩქოლებულ ტყის ბინადრებს, მერე ჯადოსნური ჯოხი აიქნია და თითქოს ტელევიზორის ეკრანიაო, რასაც ჰყვებოდა, ყველაფერი კადრებივით ჩნდებოდა.

– სამზევეთის ტყიდან ძააალიან შორს, სადღაც თვალუწვდენელ სივრცეში შოკოლადის სამეფო გახლდათ გადაჭიმული. თხილისა და ქიშმიშების ციცქნა სამეფოების დაპყრობის შემდეგ შოკოლადის სამეფოში მცხოვრებმა შოკოლადისვე რაინდებმა თავი უძლეველად დაიგულეს და ისე გადიდგულდნენ, უმიზეზოდ ხან ვის აუხირდნენ და ხანაც ვის.

პატარა, სუსტი სამეფოების აოხრებით გული მალევე იჯერეს, ჰოდა, შოკოლადის მშვილდ-ისრებითა და ფარ-ხმლებით შეიარაღებულებმა ყველასთვის საყვარელი მზის სამეფოს დაპყრობა გადაწყვიტეს. არადა, ნეტავ, რას ერჩოდნენ, მათ სამეფოში ხომ მზე თვალით არასდროს ენახათ, უბრალოდ ყურმოკვრით იცოდნენ, რომ დიიდი იყო, ცხელი, კაშკაშა და მწველი, მაგრამ ერთმანეთის და საკუთარი თავის ქებით რეტდასხმულებს განა ეს შეაშინებდათ? შოკოლადის

აბჯრები მოირგეს, შოკოლადის ცხენებს შემოახტნენ და მზის სამეფოსკენ ისეთი სისწრაფით გასწიეს, ირგვლივ სულ შოკოლადის ბუღი დააყენეს.

მალე ჰორიზონტზე მზის სამეფოს კარიბჭე გამოჩნდა.

– ეიიმოდენა ქიშმიში და ვაფლი გაგვიწყვეტია და ერთ მზეს როგორ ვერ მოვერევით?! – ნიშნის მოგებით გაიძახოდნენ რაინდები და ცამდე აწვდილ კარიბჭესთან შექუჩებულები ყურისწამღებად ჩოჩქოლობდნენ. კარგა ხანს უსმენდა მზე მათ უაზრო ყოყლოჩინობას და ბაქიაობას, მაგრამ როდემდე?

– ნეტავ, ამდენს ვინ ბედავს? – მზესაც აევსო მოთმინების ფიალა და ღრუბლის სარკმლიდან ცალი თვალით გამოიჭყიტა.

– დაგვნებდი, მზეო!

– ტყვედ ჩაგვბარდი და სიცოცხლეს გაჩუქებთ! – ისევ აჩოჩქოლდნენ რაინდები, თან მშვილდ-ისრები მოზიდეს და ... ორიოდ წუთში მზისკენ შოკოლადის ისრების წვიმა წამოვიდა.

უნდა გენახათ, როგორ გაოცდნენ, როცა მათმა სანაქებო ისრებმა მზის სხივების ქვეშ თვალსა და ხელს შუა დაიწყო დნობა, თუმცა ჯერ სად იყვნენ... ისრებს სულ მალე ჯერ აბჯრები და მერე ცხენებიც მიჰყვა.

– ვაიმე, თავს ვუშველოთ, მზე ჩვენზე ძლიერი ყოფილა! – ერთმანეთს შესძახეს ცალკე სიცხისგან და ცალკე სიმწრისგან გაოფლილმა რაინდებმა და გაქცევა მოისურვეს, მაგრამ დნობაშეპარულებმა თავიანთი სამეფოსკენ მძიმე-მძიმედ გაღოღება ძლივსღა მოახერხეს.

– თავისი ბაქიბუქით სირცხვილიც ჭამეს! – თათი თათს შემოჰკრა ბაჭიამ.

– ნეტა, შენ რა გიხარია? ლაფისროლიამ რა დღეში ჩაგაგდო, არ გახსოვს?

– ხმა გაკმინდე, ენაჭარტალა კაჭკაჭო! – ბაჭიამ კენჭი ესროლა, მაგრამ მოქნილმა კაჭკაჭმა იოლად აიცდინა.

– ახლა გავჩუმდები, რახან ძალიან გვიანია, მაგრამ შემდეგი შეხვედრისთვის ზღაპრად ქცეული შენი ამბის მოყოლა, ბაჭიავ, იცოდე, ჩემზეა!

– ეჰ, სხვის ჭირზე რა მაცინებდაო, – ბაჭიამ ენაზე იკბინა, მაგრამ, კაჭკაჭის თქმისა არ იყოს, უკვე ძალიან გვიანი იყო.

მხატვარი
მარიამ დავითაშვილი

თამარ ბელაშვილი

ოსკარ შმერლინგი

„დავიბადე ჩემი საყვარელი მხარის საუბედუროდ 1863 წლის 1 ივლისს, ცალ ხელში კარანდაშით, ხოლო მეორეში – მათრახით“ – ასე, იუმორნარევი მეტაფორებით იწყებს თხრობას საკუთარი თავის შესახებ ქართული დაზგური გრაფიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ქართული პლაკატისა და კარიკატურის ფუძემდებელი ოსკარ შმერლინგი. წარმომავლობით გერმანელი, თუმც კი საქართველოს მკვიდრი მხატვარი, XIX-XX სს-ის მიჯნაზე თბილისში არსებულ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემასთან თანამშრომლობდა, აფორმებდა წიგნებს და ქმნიდა პლაკატებს. მისეული ილუსტრაციებით გაიცნო, მიიღო და შეითვისა პირველად ქართველმა საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ (1895), „თავდადებულნი ქართველნი“ (1895), „იავნანამ რა ჰქმნა?“(1904), მისი ნახატი გმირები მეგზურობას უწევდნენ პატარებს ქართული ხალხური ზღაპრების ხიფათიან სამყაროში (1905). ოსკარ შმერლინგი იყო ქართული საბავშვო-საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მხატვარი. ამ ჟურნალს მოგვიანებით „ოქტომბრელის“, შემდგომ კი უკვე „დილის“ სახელით იცნობს ქართველი მკითხველი. სწორედ ოსკარ შმერლინგის მონდომებითა და ოსტატობით „შეიმოსა“ ეს საბავშვო გამოცემა ფერადი ყდით უკვე 20-იანი წლების დამდეგს – მაშინ, როცა ბეჭდური საქმე მთელ საქართველოში მხოლოდ შავთეთრი იყო. მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე უწყვეტად თანამშრომლობდა ამ ჟურნალთან.

დღეს ქართველი საზოგადოება ამ მხატვარს უფრო ძველი თბილისის ყოფის ამსახველი ნამუშევრებით იცნობს. ფრაგმენტები კინტოებისა თუ ყარაჩოღელების ცხოვრებიდან, თბილისელი დიდებულები, ვაჭრები და სოვდაგრები, მეარღნეები და უბრალოდ მოქეიფენი, გამორჩეულად თვალშისაცემი კოლორიტი და უკვე წარსულის კუთვნილებად ქცეული თბილისური განუმეორებლობის ხიბლი – ასეთია ოსკარ შმერლინგის მხატვრული სამყარო.

ხატვა ბავშვობიდან იტაცებდა, ამიტომაც წერს ავტობიოგრაფიაში, ხელში „კარანდაშით“, ფანქრით დავიბადეო. ოღონდ მათემატიკას ვერაფრით აუღო ალღო. არადა, იმხანად თბილისის რეალურ სასწავლებელში, სადაც ოსკარ შმერლინგი სწავლობდა, ყველაფერს ამ საგნის ცოდნა-არცოდნა წყვეტდა, წარმოიდგინეთ და, თვით გალობის ნიშანსაც კი. ჰოდა, მეხუთე კლასამდე ძლივს მიაღწია და მერე „დასასვენებლად“ სამი წლით შეყოვნდა, სამი წლით ჩატოვეს სასწავლებლის მეხუთე კლასში. არადა, ეს ყველაფერი მხოლოდ მათემატიკის გამო... უამრავი დრო გამოუთავისუფლდა და მანაც სარედაქციო-გამომცემლობით საქმეს მიჰყო ხელი. დააარსა ჟურნალი „კოღო“, საკუთარი ძალებით გამოსცა მისი სამი ნომერი. როგორც მოსალოდნელი იყო, ჟურნალი მალევე დამრიგებლის რისხვამ

ნაკადული, 1905 წ. N15

ნაკადული, 1905 წ. N6



ნაკადული, 1906 წ. N8

იმსხვერპლა – შმერლინგი ხომ ძირითადად სასწავლებელში მიმდინარე პროცესებზე წერდა. მართალია, „კოღო“ აღარ არსებობდა, სამაგიეროდ, ახალგაზრდა შმერლინგმა უკვე იცოდა, რა იტაცებდა, რა სურდა და რისი შესწავლისთვის არ დაიშურებდა ძალებს. გაუჩერებლად ხატავდა და სხვადასხვა ჟურნალში აბარებდა თავის ნამუშევრებს. მისთვის თანდათან აშკარა გახდა, რომ პროფესიული დაოსტატება უმთავრესი იყო და სწავლა ჯერ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, შემდგომ კი, გერმანიაში – მიუნხენის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო. ოცნება სინამდვილედ იქცა. წარმატებით ჩაბარებული გამოცდების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა მხატვარმა კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების ფერწერისა და ქანდაკების სკოლა დააარსა და თავადვე ჩაუდგა სათავეში. სულ მალე თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პირველი პროფესორი გახდა. პერიოდულ გამოცემებთან თანამშრომლობა არასდროს შეუწყვეტია. მისი კარიკატურები არავის ტოვებდა გულგრილს, განსაკუთრებით კი პოლიტიკური კარიკატურები. უფრო მეტიც, პირველი ქართული იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, უმთავრესად, სწორედ მისი ილუსტრაციებით გამოდიოდა. აი, პასუხი კიდევ ერთ მეტაფორაზე – დაბადებისას მეორე ხელში მათრახი მეჭირაო.

აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ეს სწორედ ის ბიჭუნა იყო, მათემატიკის გამო მეხუთე კლასში სამი წელი რომ სწავლობდა?..

1. ჟურნალი, რომელიც სწავლის პერიოდში თავად შექმნა ოსკარ შმერლინგმა;

2. რამდენი წელი სწავლობდა შმერლინგი მეხუთე კლასში?

3. სატირულ-იუმორისტული შინაარსის ნახატი;

4. სასწავლო საგანი, რომელიც შმერლინგს არ უყვარდა;

5. ევროპის ქვეყანა, სადაც ოსკარ შმერლინგი პროფესიული განათლების მისაღებად გაემგზავრა;

6. ჟურნალ „ნაკადულის“ ამჟამინდელი სახელწოდება;



მხატვარი ოსკარ შმერლინგი



ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: გიორგი მაღრაძისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ–ფოსტა: **dila1904@yahoo.com,**
facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ISSN 0132-5965

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

ეროვნული სასლი

საქართველოსკულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო